

პროგრამა-ინსტრუქცია
დიალექტოლოგიური (ეთნოლოგიური,
ფოლკლორული) ტექსტების მომხიებელთათვის

(მეორე გამოცემა)

რედაქტორისაგან

დღეს ქართული დიალექტოლოგიის წინაშე გადაუდებელი პრობლემა დგას: რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ტერიტორიული დიალექტების, როგორც ენობრივი წარმონაქმნების ფიქსაცია მათი ყველა გამოვლინებით გრამატიკის, ლექსიკის, ფრაზეოლოგიის სფეროში. ამას გარდა სასურველია, მოპოვებულმა ტექსტობრივმა მასალამ ასახოს დიალექტის მატარებელთა სულიერი და მატე-რიალური კულტურის თავისებურებანი, მათი მსოფლხედვა და მსოფლ-აღქმა, გარემოს მხატვრული ხედვა და მხატვრული აზროვნება, რაც, უეჭველია, შეაპირობებს ენობრივ თავისებურებებსაც. ყოველივე ამის განსახორციელებლად კი აუცილებელია, რომ დიალექტოლოგმა დიალექტის გავრცელების ტერიტორიაზე ამორჩეულ საყრდენ პუნქტებში იმუშაოს ხანგრძლივად, კარგად დამუშავებული პროგრამით. წინამდებარე პროგრამა-ინსტრუქცია გამიზნულია ველზე მომუშავე დიალექტოლოგების დასახმარებლად, როგორც ზოგადი ნიმუში სამუშაო პროგრამისა. მისი საბოლოო სრულყოფა და მორგება კონკრეტული დიალექტის ფიქსაციისათვის ევალება თვით ველზე მომუშავე დიალექტოლოგს. მიგვაჩნია, რომ მისი გამოქვეყნებით დიალექტო-ლოგიური მასალის მომპოვებელნი მიიღებენ საჭირო მეთოდურ სახელმძღვანელოს.

გ. ცოცანიძე

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტის ქათრველურ ენათა განყოფილების
დიალექტოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი

პროგრამა-ინსტრუქციის შემდგენელისაგან

წარმოდგენილი პროგრამა-ინსტრუქცია შედგენილია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; იგი განკუთვნილია ქართველურ დიალექტებზე (აგრეთვე, ქართველურ ეთნოგრაფიასა და ფოლკლორზე) მომუშავეთათვის, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია კავკასიაში არსებულ სხვა ენათა დიალექტებზე მუშაობის დროსაც.

პროგრამა-ინსტრუქციის შედარებითი სისრულის მისაღწევად გამოვიყენეთ დღემდე გამოცემული (ჩვენთვის ხელმისაწვდომი) ყველა მნიშვნელოვანი კითხვარი, პროგრამა და სხვადასხვა ხასიათის ტექსტები (იხ: გამოყენებული ლიტერატურა): ბუნებრივია, ძირითად საყრდენ მოდელად გამოვიყენეთ ივანე ჯავახიშვილის მიერ 1935 წელს გამოქვეყნებული „მინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალის შეგროვების წესისათვის“.

პროგრამა-ინსტრუქცია განსახილველად გატანილი იყო 1994 წ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საენათმეცნიერო სემინარზე **ქუთაისური საუბრები - I**; ოფიციალური ოპონენტები იყვნენ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე დოც. მ. ქაცარავა და მეცნიერ-თანამშრომელი დ. შავიანიძე. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები: ი. ასათიანი, თ. ოჩიაური, ი. ჩანტლაძე, ზ. ჭუმბურიძე, თ. უთურგაძე, ზ. კიკნაძე, ჯ. ბარდაველიძე, კ. დანელია, რ. თოფჩიშვილი და სხვ. ამავე სემინარზე ტ. ფუტყარაძის, ე. დადიანისა და ნ. ნაკანის მიერ განსახილველად წარმოდგენილი იყო „ზანურ-სვანურიდან ქართულად თარგმანების პრინციპები“.

1995წ. მაისში ჩატარებულ მეორე რესპუბლიკურ სემინარზე (ქუთაისური საუბრები - II) სამსჯელოდ გამოტანილი იყო ლექსიკონისა და საძიებლის შედგენის პრინციპები (ტ. ფუტყარაძე, ლ. ლომთაძე, ლ. ხაჭაპურიძე).

პროგრამა-ინსტრუქციას თან ახლავს 33 დასახელების კითხვარი; ამათგან დიალექტოლოგიის ინსტიტუტში დამუშავებულია 27 კითხვარი: მათ საფუძვლად გამოყენებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა (ვ. ბარდაველიძე, რ. თოფჩიშვილი, ნ. მინდაძე) და ენათმეცნიერების ინსტიტუტში (თ. უთურგაიძე, ო. კახაძე, ა. არაბული და სხვ.) შექმნილი კითხვარები. დიალექტოლოგიის ინსტიტუტში გრძელდება კითხვარების სრულყოფა (ლ. ბენდელიანი).

პროგრამა-ინსტრუქცია ისეა შედგენილი, რომ მოძიებული მასალა ერთნაირად სანდო და საინტერესო იყოს ლინგვისტათვის, ეთნოლოგთათვის და ფოლკლორისტათვის; აგრეთვე: სოციოლოგთა, ფსიქოლოგთა თუ სხვა მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისთვისაც.

პროგრამა-ინსტრუქცია განკუთვნილია რეგიონში მთელი წლის განმავლობაში კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით (ეთნოგრაფთათვის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი შეიმუშავა გიორგი ჩიტაიამ) მომუშავე ჯგუფისათვის და გამიზნულია ისეთი დიალექტოლოგიური ტექსტების მოსაპოვებლად, რომლებშიც სრულად იქნება წარმოდგენილი რეგიონის სამეტყველო კოდი. ფოლკლორი, ონომასტიკა, ეთნოგრაფიული მასალა (შინამრეწველობა, რწმენა-წარმოდგენები, წეს-ჩვეულებანი, მატერიალური კულტურა, სულიერი კულტურა): ქალაქის ჯგუფისათვის გაკეთებულია განსხვავებული ვარიანტი.

პროგრამა-ინსტრუქციაში მოცემულია მითითებები რეგიონში მომუშავე მომძიებელთა ჯგუფისათვის და განსაზღვრულია ჩასაწერი მასალის ზოგადი სახე: წარმოდგენილია ის აუცილებელი მინიმუმი, რომელიც უნდა მოიპოვოს მომძიებელთა ჯგუფმა. ველზე მომუშავე მეცნიერ თანამშრომლებს ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით ან პროგრამის სრულყოფის მიზნით შეუძლიათ ჩაიწერონ დამატებითი მასალაც. პროგრამის სრულქმნა გაგრძელდება; მაღლიერებით მივიღებთ ყველა წინადადებას.

ტარიელ ფუტკარაძე

I. ჩასაწერი მასალის შინაარსი

1.1. გადმოცემები სოფლის სახელწოდების შესახებ;

1.2. სოფლის მცხოვრებთა გვარები. მათი წარმომავლობის ისტორია. გვარის დანაყოფები (გვარზემეტი, საგინებელი, გვარი, სახინჯარი, დინო, თური); გვარის სალოცავები, გვარის ნიშანი (თაჯები), დროშები და სხვა სიმბოლოები;

1.3. ონომასტიკური ერთეულები (ტოპონიმები, ჰიდრონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები, კოსმონიმები): გადმოცემები სახელების წარმომავლობის შესახებ;

1.4. ადამიანი: სხეულის ნაწილები (შინაგანი, გარეგანი), მათი სახელები, როგორც ოფიციალური, ისე კინობითი (თავი, ბაშკა, გოგრა...), ხასიათი, განწყობილება;

1.4.1. ნათესაური ურთიერთობანი: ოჯახის წევრი, სისხლით ნათესავი, ბიძაშვილ-დეიდაშვილი, მოყვარე, მოკეთე, ნათელმირონობა, ნაცვალი (მამინაცვალი), გერი (ჯიმაყონირი...), იხ. ნათესაობის ლექსიკა;

1.5. პროფესიული მასალა;

1.5.1. სახლ-კარის აღწერა; საცხოვრებელი სახლი, სხვა ნაგებობათა ტიპები, დამხმარე ნაგებობები, სათავსოები, მათი განლაგება, ფორმა, მოწყობილობა ავეჯი, დანიშნულება...

1.5.2. იარაღი (საამშენებლო, სამეურნეო, საბრძოლო), მუსიკალური ინსტრუმენტები, მათი აღწერა და დამზადების წესი;

1.5.3. მშენებლობის პროცესის დაწვრილებითი აღწერა (საამშენებლო მასალის დამზადება, მშენებლობა, მშენებლები, მათი გასამრჯელო, კვება), რა რიტუალები სრულდება მშენებლობის დასაწყისში და დასასრულს; ურთიერთდამხმარების რა ფორმები იციან სახლის მშენებლობის დროს...

1.5.4. ხარატობა (ორნამენტების გამოყვანა); ხელობა: ურმის, ორთვალის, კავის, საზიდრის გაკეთება... წისქვილის აგება, ჭის ამოთხრა; კალათის, ძარის, ჩელტის, გიდელის მოწვნა... (დაწვრილებითი აღწერა);

1.5.5. ხელსაქმე: ქსოვა, კერვა, ქარგვა, ღებვა, ლოგინი, მატყლის დამუშავება, რთვა, ჩეჩვა, ქსოვის სახეები, შეღებვის ხერხები; რომელი მცენარით (ბალახით) იღებება, როგორ კერავენ ფეხსამოსს (ფეხსაცმელი, წინდა), ტანისამოსს, თავდასახურავს და ა.შ.

1.5.6. ჩასაცმელი (ძველად და ახლად): ქალის, კაცის, საოჯახო, სადღესასწაულო, ბავშვის, მოსწავლის...

1.5.7. შეშის დამზადება; დაწვრილებით უნდა ჩაიწეროს რომელ ხეებს ხმარობენ შეშად, ხელოვნურად როგორ ჩქარდება შეშის გახმობა, როდის ჭრიან შეშად განკუთვნილ ხეს, რა ზომით ხერხავენ, რით გადააქვთ, როგორ ამზადებენ და ა.შ.

1.5.8. ვაჭრობა ძველად და ახლად: რას ყიდულობენ, ყიდიან, სავაჭრო ადგილი, რომელ პროდუქტებს ცვლიან, ზომა-წონის ერთეულები: მილიმეტრი, სანტიმეტრი, არშინი, გოჯი, მტკაველი, კილომეტრი, ვერსი... გრამი, კილოგრამი, ბათმანი, ქილა, ცენტნერი, ტონა...

- 1.5.9. რეგიონისათვის დამახასიათებელი სატრანსპორტო საშუალებანი (ძველად და ახლად): ორთვალა, ველოსიპედი, ცხენი, მანქანა (მისი სახეები...), მატარებელი...
- 1.5.10. საჭმელი (ცომეული, ხორცის, რძის, მცენარეული); რეგიონისათვის ტიპური და სხვა სახის საჭმელი, თითოეული მათგანის დამზადების წესი (პროცესის დეტალური აღწერა), როგორ ხდება ზამთრისათვის საჭირო საჭმლის შენახვა, როგორ აკეთებენ კომპოტებს, მურაბებს...
- 1.5.11. სასმელი (ღვინო, არაყი, ლუდი...); როგორ მზადდება თითოეული მათგანი (პროცესის დეტალური აღწერა თხრობით და არა კითხვა-პასუხის სახით);
- 1.5.12. საოჯახო საქმე: ოთახის, ეზოს დალაგება-დაგვა, ჯამ-ჭურჭლის, თეთრეულის, ბავშვის სარეცხის დარეცხვა, საქონლის, ფრინველის მოვლა (თუ მასალა საშუალებას იძლევა, გაიმიჯნოს ქალის, ბავშვის, მამაკაცის საქმიანობა ოჯახში).
- 1.6. მედიცინა;**
- 1.6.1. ადამიანის დაავადებანი: დაავადების სახეები, სიმპტომები, მკურნალობის სახეები, როგორ მკურნალობენ, რა რიტუალები ახლავს ამ მკურნალობას...
- 1.6.2. წამალი; რა წამალს ხმარობენ ამა თუ იმ დაავადებათა დროს. წამლის დამზადების წესი, სამკურნალოდ გამოყენებული მცენარეების სახელები, ამ მცენარის აღწერა, როგორი ფოთოლი აქვს, რა ფორმის ყვავილი, წლის რომელ დროს შეიძლება მისი მოკრეფა, როგორ ახმობენ და ა.შ.
- 1.7. წეს-ჩვეულება;**
- 1.7.1. ქორწინება, ჯვრისწერა (ძველად და ახლად), მამულობა, ნიშნობა, მზითვეი, ქორწილი, ქალის თავის ოჯახში მიბრუნება (რიტუალების დეტალური აღწერა თხრობის ფორმით), ფეხმძიმობა, ძეობა, ბავშვის მოვლა...
- 1.7.2. ნათლობის წესები, ნათლიად შერჩევა (ვინ შეიძლება იყოს და ვინ არა), რამდენ თაობაზე გადადის ეს კავშირი, როგორი ურთიერთობაა ნათლიასა და ნათლულს შორის, რა ევალება ნათლიას და ნათლულს ერთმანეთის მიმართ...
- 1.7.3. გარდაცვალება, დაკრძალვა, გლოვა, ჭირის სუფრა (ქელები, მკლავის გახსნა, ორმოცი, წლისთავი), როგორ გლოვობს ცოლი, ქმარი, შვილმკვდარი დედა, როგორ გლოვობენ ახლო ან შორეულ ნათესავს (როგორც კაცი, ისე ქალი), რამდენ ხანს გრძელდება ეს პროცესი და ა.შ.
- 1.7.4. სუფრა: ქორწილის, ნათლობის, ძეობის, ჭირის, საოჯახო, სასტუმრო; სუფრის გაწყობის წესი, სუფრასთან დაკავშირებული რიტუალები (სუფრის კურთხევა, თამაღობა, მერიქიფეობა, თითოეული სუფრის შესაფერისი სადღეგრძელოები);
- 1.7.5. მართლმსაჯულება, ხალხური სამართალი, განქორწინების წესი, მესისხლეობა (ლიწური), ლიმწრეჟ... და სხვა წეს-ჩვეულებანი;
- 1.7.6. პატარა, ინდივიდუალური (ცოლი, ქმარი, შვილები) და დიდი გაუყოფელი ოჯახების მართვა, სხვა ტრადიციები...
- 1.8. ღღესასწაულები (გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის ზამთრის, მყარი, მოძრავი, ხანიერი, სათემო, საოჯახო), სხვა რწმენა-წარმოდგენები. დეტალური აღწერა;**
- 1.8.1. რელიგიური ღღესასწაულები (შობა, აღდგომა, ამალღება, სულთმოფენა...), დეტალური აღწერა. როდის აღინიშნება, რა რიტუალები სრულდება...
- 1.8.2. საერო ღღესასწაულები (ახალი წელი, 26 მაისი, 9 აპრილი), როგორ ზეიმობენ, რას აკეთებენ;
- 1.8.3. მნათობები და მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები;
- 1.8.4. წმინდა ხე და მასთან დაკავშირებული რიტუალები, რომელი ღღესასწაულების დროს ფიგურირებს წმინდა ხე, რომელი ხე მიაჩნიათ წმინდად, რა რიტუალები სრულდება.
- 1.9. გარესამყარო;**
- 1.9.1. ადამიანის დაკვირვებანი გარესამყაროზე, ცაზე, ვარსკვლავებზე, მნათობებზე, როგორი ახსნა მოეძებნება მათ განლაგებასა და მდგომარეობას, მზის დაბნელებას, მთვარის დაბნელებას, ვარსკვლავის მოწყვეტას...
- 1.9.2. დრო; როგორ ახდენდა და ახდენს ადამიანი დღის, ღამის დაყოფას მზისა და მთვარის მდებარეობის მიხედვით (ალიონი, დილა, შუადღე, ნაშუადღევი, საღამო, ღამე, ნაშუალამევი), რას უწოდებენ მათ;
- 1.9.3. სტიქიური მოვლენები: მიწისძვრა, დიდი ზამთარი, ზვავები... ადამიანთა დაკვირვებანი მათი მოსალოდნელობის შესახებ; თვითმხილველთა გადმოცემები და ა.შ. დეტალურად აღიწეროს ყველა მსგავსი მოვლენა...
- 1.9.4. ამინდი; დარი, ავდარი, წვიმა, სეტყვა... ხალხური დაკვირვებები და წეს-ჩვეულებები ამინდის გამოსაცნობად და მის შესაცვლელად (მერცხლის დაბლა ფრენა, ბაყაყის მოკვლა, დასავლეთით ცის გაწითლება, ხშირი ვარსკვლავები ცაზე...);
- 1.9.5. იმქვეყნიური სამყარო, ხალხის წარმოდგენა ჯოჯოხეთზე, სამოთხეზე...
- 1.9.6. წარმოდგენა-შეხედულებანი უცხოპლანეტელებზე.
- 1.10. საყოფაცხოვრებო ამბები;**

1.10.1. რეგიონის მეტყველებისათვის ტიპური დიალოგები (სოფლის ცენტრში, ქალების, კაცების, ბიჭების, გოგონების, ბავშვების...);

1.10.2. ძველი ამბები;

1.10.3. თანამედროვე ამბები;

1.10.4. სახუმარო ამბები (მთქმელის მიერ მოთხრობილი თავის თავზე, მეზობლებზე, ამხანაგებზე, სოფელზე, ახლობლებზე...);

1.10.5. სიზმარი: ხალხში არსებული დაკვირვებანი სიზმარზე, სიმბოლოები და მათი ახსნა (კამეჩი — სიკვდილი, ბეჭედი — ქორწილი, ჩიტი — ახალი ამბავი, თოვლი — დარდი, ტირილი — სიხარული...);

1.10.6. ბავშვთა თამაშობანი ძველად და ახლა, როგორ ერთობიან, რას თამაშობენ (კლასობანა, დახუჭობანა, მგელობანა, ვისი სული გასურს, ამის პატრონმა რა ქნას, მონადირე და იხვი, ომობანა, ოჯახობანა...).

1.10.7. მკითხაობა, მაგია, (შავი და თეთრი).

1.11. ზეპირსიტყვიერება;

1.11.1. ზღაპარი: ჯადოსნური, საყოფაცხოვრებო, ცხოველთა...

1.11.2. ლეგენდები;

1.11.3. მითოლოგიური სიუჟეტები, ბიბლიური ამბები (მოთხრობები ქვეყნის გაჩენაზე, ნოეს კიდობანზე, წარღვნაზე, ქრისტეზე, წმინდანებზე)...

1.11.4. გადმოცემები სოფლის ისტორიის, სალოცავების, წმინდა ადგილების, მეზობელი კუთხეების თემების შესახებ;

1.11.5. ხალხური ლექსი: მითოლოგიური, საწესჩვეულებო (მათთან დაკავშირებული რიტუალები), საყოფაცხოვრებო, საგმირო-საისტორიო, ფილოსოფიური, სატრფიალო, სასულიერო ხასიათის, კაფია, ხალხური სიმღერები...

1.11.6. ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხი...

1.11.7. შელოცვა-გამოლოცვა (ნაღრძობის, შაკიკის, მორიელის ნაკბენის, ნათვალევის, მაკე ძროხის, უჟმურის...), მათი თანმდევი რიტუალების დეტალური აღწერა და ამ რიტუალების დროს გამოყენებული ნივთების დაფიქსირება. ლოცვა მაცხოვრისადმი, ღვთისმშობლისადმი, წმიდა გიორგისადმი, მთავარანგელოზისადმი... დალოცვა (დედის მიერ შვილის, დის მიერ ძმის, ბებულის მიერ შვილიშვილისა...);

1.11.8. წვევლა (პირვნების, ოჯახის, შვილის, მთავრობის...), შეჩვენება, ხატზე გადაცემა სხვადასხვა დანაშაულის გამო, მისთვის დამახასიათებელი ყველა რიტუალის დაწვრილებითი აღწერა, ლანძღვა-გინება...

1.11.9. ანეკდოტი, მახვილსიტყვაობა...

1.12. ფაუნა;

1.12.1. გარეული და შინაური ცხოველები; მათი სახელები, ბინა, საკვები, გამრავლება, როგორ უვლიან შვილებს, სახელი დაბადებიდან 2-3 წლამდე, სქესობრივ მომწიფებამდე და შემდგომ პერიოდში, სიცოცხლის ხანგრძლივობა; საკვებად გამოსადეგი ცხოველები; ზორცისა და ტყავის გამოყენება; ადამიანის მიერ მათ მოსახმობად გამოყენებული სიტყვები; დაავადებები და დაავადებათა მკურნალობა;

1.12.2. რეგიონში გავრცელებული გარეული და შინაური ფრინველები, მათი სახელები, აგებულება, საბუდარი (ბუდეს მიწაზე, მინდორში, სახლზე, კლდეზე იკეთებენ თუ არა): ბუმბულის შეფერილობა, რომელი ფრინველი იზამთრებს აქ და რომელი მიფრინავს თბილ ქვეყნებში. ფრინველები რით იკვებებიან, როგორ მრავლდებიან, რამდენ კვერცხს დებენ, რამდენ ხანში ჩეკენ. გამოჩეკილი ბარტყის სახელი. როგორ უვლის დედა, როდის ხდება დამოუკიდებელი; ადამიანის მიერ საკვებად გამოყენებული ფრინველები, ნადირობის სეზონის დასაწყისი, მათ მოსახმობად და გასაგდებად გამოყენებული სიტყვები, დაავადების სახელები...

1.12.3. მწერები (მკბენარების ჩათვლით); მათი სახელები, ბინადრობის ადგილი, აგებულება, შეფერილობა, გამრავლება; ახლად გამოჩეკილი მწერების სახელები, სიცოცხლის ხანგრძლივობა. რა ზიანი ან რა სარგებლობა მოაქვთ ადამიანებისათვის; წლის რომელ დროს არიან მასიურად...

1.13. მცენარე;

1.13.1. კულტურული მცენარეები, გავრცელება, აგებულება, როდის თესავენ, როგორი ადგილი უნდა, ახლად ამოსული მცენარის სახელი; რომელ ასაკში ყვავილობს, რა ფერის ყვავილები აქვს, როგორია ნაყოფი, როდის მწიფდება, რამდენწლიანია კულტურული მცენარე; როგორ ბინავდება ნაყოფი, რა დაავადებები უჩნდება...

1.13.2. ხე-მცენარეები; მათი სახელები, აგებულება, როგორ ადგილზე იზრდება... ახლად ამოსული, გადარგული ნერგის სახელი, მსხმოიარეა თუ არა, თუ მსხმოიარეა, როდის ყვავილობს, როგორი ფერის ყვავილები აქვს, ნაყოფი რა ფორმისაა, როდის მწიფდება, როგორ ბინავდება ნაყოფი, მარადმწვანეა თუ არა, ბუჩქოვანია თუ არა, რა სიმალეზე იზრდება, რამდენ წელს ხარობს, რაში

გამოიყენებს ადამიანი (საშენ მასალად, სხვადასხვა სამეურნეო თუ საოჯახო ნივთის დასამზადებლად), რომელ ნაწილს გამოიყენებენ ამ მიზნით, როდის იჭრება სამასალე ხე, როგორი ფერისაა მერქანი, წლის რომელ დროს ჭრიან მას, რა დაავადებები უჩნდება ხე-მცენარეებს...

1.13.3. ყვავილები, ბალახები; მათი სახელები, აგებულება, სად იზრდება, როგორ მრავლდება, რამდენწლიანია, როგორი ფერისა და ფორმის ყვავილებია, ბალახია, როგორი სუნი აქვს, წლის რომელ დროს ყვავილობს, როგორ უვლის მას ადამიანი...

1.14. სოფლის მეურნეობა; გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის, ზამთრის პერიოდისათვის დამახასიათებელი სამუშაოების აღწერა, მათთან დაკავშირებული რიტუალები (ყურადღება უნდა გამახვილდეს ტერმინებზე, ჩაწერა უნდა მოხდეს სამუშაო ადგილზე, შესაბამისი კითხვარის შევსების შემდეგ. მაგნიტოფონით უნდა დაფიქსირდეს გაბმული ტექსტები და არა დიალოგი მოცემულ თემაზე);

1.14.1. ვენახი: მისი ჯიშები, ყველა სამეურნეო დეტალისა და რიტუალის დაწვრილებითი აღწერა. დარგვა, დაბარვა, გასხვლა, ახვევა, გაფურჩქნა, შეწამვლა, დაავადებები...

1.14.2. ხილი, ბალი, მცნობა, ნერგი...

1.14.3. სიმინდი და სხვა მარცვლოვანი კულტურები: ხორბალი, ლობიო, სოია, ცერცვი... მათი ჯიშები, როდის თესავენ, როგორი ნიადაგი უნდა, რამდენ ხანში ამოდის, როდის თოხნიან და რამდენჯერ; ყვავილობა, როდის იკეთებს ნაყოფს, როდის მწიფდება, როდის და როგორ აბინავებენ, რა დაავადებები უჩნდება...

1.14.4. კარტოფილი, მისი ჯიშები; ნიადაგის დამუშავება, თესვის დრო, მოვლა, დაავადებები, მოსავლის აღება-დაბინავება...

1.14.5. სოფელში გავრცელებული ბოსტნეული და მწვანელი, მათი ჯიშები... ნიადაგის დამუშავება, თესვის გამზადება და თესვა, ნერგის გამოყვანა, გადარგვა, მოვლა, დაავადებები და მათი მკურნალობა; ნაყოფი, აღების დრო და დაბინავება...

1.14.6. ციტრუსოვანი მცენარეები: მათი ჯიშები, გამრავლება, დაავადებები, მოვლა, მოსავლის აღება-დაბინავება...

1.14.7. თივის დამზადება, სათიბი ადგილები, თიბის დრო, სათიბი ბალახები, აღება-დაბინავება...

1.14.8. თამბაქო: მისი ჯიშები, ნიადაგის მომზადება, თესვის დრო, დარგვა, მოვლა, შეტეხვა, შენახვა...

1.14.9. ჩაი: ნიადაგის დამუშავება, დათესვა, ნერგის გამოყვანა, დარგვა, გასხვლა, სასუქი, კრეფის დრო და საშუალებები...

1.14.10. აბრეშუმი: მურის გამოყვანა, მოვლა, კანის ცვლა და მისი სახელები, რაზე ათავსებენ, რას და რამდენჯერ აჭმევენ, პარკვისას რას უდებენ, როდის კრეფენ, პარკის ხარისხები, დაავადებები, მავნებლები, წამლობის ხალხური წეს-ჩვეულებანი...

1.14.11. ფუტკარი: მოშენება, ფუტკრის სახლი, კვება, გამრავლება-გაყოფის პერიოდი. ფიჭა, თაფლი, სანთელი, თაფლის ამოღების სეზონი და თაფლის გამოღებისა და სკის გაწმენდისას გამოსაყენებელი იარაღები; დაავადებები და მისი მკურნალობა...

1.14.12. თევზი: სახეები, გამრავლება, თევზჭერის დროები, თევზსაჭერი საშუალებები... თევზის ხელოვნურად მოშენება...

1.14.13. ნადირი: რაზე და როდის ნადირობენ; ნადირობის დამახასიათებელი ყველა დეტალი და მასთან დაკავშირებული რიტუალები...

1.14.14. ფრინველები (ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი...) მათი გამრავლება, კვება, დაავადებები და მკურნალობა...

1.14.15. მეცხოველეობის დარგები: მესაქონლეობა, მეკამეჩეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მებოცვრეობა... მათი ჯიშები, ბინა, გამრავლება, კვება, დაავადებები და მათი მკურნალობა, გახედვნა, დაკოვდა...

1.14.16. მიწათმოქმედების სახეები (კერძო, საგვარეულო, სახატო, სახელმწიფო);

1.14.17. წიაღისეულის მოპოვება: რას მოიპოვებენ, როგორ...

1.15. მომძიებელთა ჯგუფმა მთელი წლის განმავლობაში ერთხელ რვეულში სრულყოფილად უნდა დააფიქსიროს რეგიონში არსებული ყველა ონომასტიკური ერთეული (ტობონიმები, ანთროპონიმები, ზოონიმები, ჰიდრონიმები, კოსმონიმები), აუცილებელია, რომ დააფიქსირდეს საკუთარ სახელთა ყველა ფონეტიკური ვარიანტი და გადმოცემები სახელდების შესახებ;

1.16. მთელი წლის განმავლობაში სრულყოფილად უნდა შეივსოს და დაზუსტდეს სხვადასხვა სახის (თემატური და დარგობრივი) კითხვარი, კერძოდ:

1.16.1. ადამიანი (სულიერი სამყარო, განწყობილება, ხასიათი, თვისებები, ანატომიური ორგანოები...);

1.16.2. ნათესაური ურთიერთობა;

1.16.3. ტანისამოსი, მატყლის დამუშავება, კერვა, ქსოვა, სამკაული, ლოგინი, ავეჯი;

1.16.4. ცხოველები: მათი სხეულის ნაწილები...

- 1.16.5. მცენარეები: მცენარეთა აგებულება... სამკურნალო მცენარეები;
- 1.16.6. საჭმელი, სასმელი, ზომა-წონის ერთეულები;
- 1.16.7. დაავადებანი (ადამიანთა, ცხოველთა);
- 1.16.8. სახლი, საოჯახო ნივთები, სამეურნეო იარაღები, მშენებლობა, ხალხური სატრანსპორტო საშუალებები...
- 1.16.9. მეურნეობა:
- ა) პურეული (პური, სიმინდი, ღომი, ქერი, დიკა...), ლობიო, სოია, ცერცვი...
 - ბ) მესაქონლეობა;
 - გ) მეფუტკრეობა;
 - დ) მეაბრეშუმეობა;
 - ე) მონადირეობა (პროცესი, რიტუალები, იარაღი);
 - ვ) მეთევზეობა;
 - ზ) მეთამბაქოეობა;
 - თ) მევენახეობა-მეღვინეობა; არყის გამოხდა, ლუდის დამზადება;
 - ი) მეხილეობა;
 - კ) მებოსტნეობა;
 - ლ) მეციტრუსეობა;
 - მ) მეჩაიეობა;
 - ნ) შეშის დამზადება;
 - ო) თივის დამზადება;
 - პ) მეფრინველეობა;
 - ჟ) წისქვილი;
- 1.16.10. ბავშვთან დაკავშირებული ლექსიკა, ბავშვის ლექსიკა, საბავშვო სათამაშოები;
- 1.16.11. ბუნება, ბუნების მოვლენები (გვალვა, წვიმა, ელვა...);
- 1.16.12. გამორჩეული დღეების, კვირების, თვეების სახელწოდებანი;
- 1.16.13. ცა, ვარსკვლავები, კოსმოსი, მზე, მთვარე (მთვარის ფაზებთან დაკავშირებული სხვადასხვა მოვლენების ხალხური ახსნა);
- 1.16.14. ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ლექსიკა;
- 1.16.15. ქორწინებასთან დაკავშირებული ლექსიკა;
- 1.16.16. რწმენა, ღვთისმსახურების ლექსიკა;
- 1.16.17. რწმენა-წარმოდგენები დაავადებათა გამომწვევ მიზეზებზე, მკურნალობის მაგიურ-რელიგიური საშუალებები;
- 1.16.18. გვარის ისტორია;
- 1.17.** მომძიებელთა ჯგუფი წლის განმავლობაში თავისი კონტექსტით აფიქსირებს (რვეულში) რეგიონისათვის სპეციფიკურ იმ ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც ვერ აისახება ტექსტებში და რომლებიც აღნიშნული მნიშვნელობით არაა შეტანილი არც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში, არც მოცემული დიალექტის სალექსიკონო მასალაში (საერთოდ, გამოქვეყნებულ ლექსიკონებში).

II. მასალის ჩაწერის პროცესი

2.1. მომძიებელთა ჯგუფი სოფელში (რეგიონში) დაბინავების შემდეგ, პირველ რიგში, ეცნობა სოფელს; იწერს, რა გადმოცემები არსებობს სოფლის (დაბის) სახელის შესახებ (აფიქსირებს ყველა ვარიანტს), სად მდებარეობს გეოგრაფიულად, ადმინისტრაციულად, რამდენი კომლი ცხოვრობს, რა გვარები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ; იწერს გადმოცემებს, სოფლის ისტორიაზე, ადგილთა სახელებს... სოფლის გაცნობის ამ პროცესში იმავდროულად არკვევს რეგიონში არსებულ ენობრივ კოდებს, მოიძიებს, ვინ არის კარგი მოზღაპრე, მთქმელი, მეურნეობის ამა თუ იმ დარგის კარგი მცოდნე, ამა თუ იმ კილოზე თუ შერეული კოდებით მოლაპარაკე და ა.შ. მომძიებელთა ჯგუფი მხოლოდ სხვათა ინფორმაციას არ უნდა დაეყრდნოს; ჯგუფის წევრები თავად უნდა გაერკვნენ ვინაა კარგი მთქმელი, ვინ ფლობს შეურეველ დიალექტს და ა.შ... ამის შემდეგ კეთდება აუდიო-ვიდეო ჩანაწერები. კითხვარების დაზუსტება განუწყვეტლივ მიმდინარეობს.

მთქმელისაგან გაბმული ტექსტის (ზღაპრის, თქმულების, თავგადასავლის...) ჩაწერის წინ აუცილებელია შესავალი დიალოგის წარმართვა მთქმელთან „გაშინაურების“ მიზნით. საუბრის დასაწყისში ყოველთვის არის „ოფიციალურ ენაზე“ საუბრის შინაგანი ინსტიქტი თუ სურვილი, მითუმეტეს, თუკი მთქმელი ჩამწერ აპარატურას ხედავს... სხვადასხვა შინაარსის შესავალი დიალოგის შემდეგ, თუკი მთქმელის მეტყველება ბუნებრივ, თავისუფალ თხრობაში არ გადავიდა, ჩაწერა სასურველი არ არის (ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება ხელოვნურ იდიოლექტიზმებთან, რაც თავისთავად საინტერესოა, მაგრამ დიალექტურ ნიმუშებთან შედარებით ნაკლებ ფასეულია)... მთქმელი ჩვენთვის სასურველ თემაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადავიყვანოთ, როცა თხრობა ბუნებრივი, დაუძაბავი ფორმით გრძელდება...

სპეციალური კითხვარის არსებობის შემთხვევაში გაბმული ტექსტის ჩაწერა უნდა მოხდეს კითხვარის შევსების შემდეგ...

ჩაწერის დამთავრების შემდეგ ჩამწერმა მთქმელს უნდა შესთავაზოს, ხომ არ სურს მას დამატებით რაიმეს თქმა (თუნდაც სხვა დროს); თანხმობის შემთხვევაში ჩანაწერი კეთდება მომძიებლის შეხედულებისამებრ.

მომძიებელმა ზუსტად უნდა ჩაწეროს მთქმელის სახელი, გვარი, მამის სახელი, მეტსახელი, წლოვანება, განათლება, სქესი, საიდანაა გამოთხოვილი ან გადმოსახლებული, მისამართი, ჩაწერის ზუსტი დრო და ამინდი, ზღაპრის (ლექსის) ისტორია, ვისგან, რატომ შეითხზა, ვისგან გაუგონია...

2.2. ლექსების, ზღაპრების, ანდაზების, გამოცანების... ჩაწერის დროს აუცილებელია დაფიქსირდეს ყველა უმნიშვნელო ვარიანტიც კი;

2.3. საწესჩვეულებო ლექსების, ფრაზების, შელოცვების, ნაღური სიმღერების, სანახაობების ამსახველი მასალის ჩაწერა უნდა მოხდეს შესაბამისი რიტუალების დროს და არა დაუსწრებლად;

2.4. დიალოგების ჩაწერის დროს მომძიებელი, რომელიც ვერ ფლობს შესაბამის კილოს, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჩაერიოს საუბარში, რათა გავლენა არ მოახდინოს მთხრობელის დიალექტურ მეტყველებაზე. დიალოგები ჩაიწერება სოფლისათვის ტიპურ, ბუნებრივ გარემოში. დიალოგებში არ უნდა იგრძნობოდეს სტილიზება, რომელიც ახასიათებს უცხო ადამიანის თანდასწრებით წარმართულ სიტყვა-პასუხს;

2.5. გაბმული მეტყველების (ზღაპრების, ლეგენდების, თქმულებების, თავგადასავლების) აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთების დროს მომძიებელი აუცილებლად უნდა შეეცადოს თითო ვარიანტი მაინც ჩაწეროს რეგიონისათვის დამახასიათებელ შეურეველ კოდზე;

2.6. ის სპეციფიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც არაა დაფიქსირებული მაგნიტოფონურ ჩანაწერებზე, აუცილებლად უნდა ჩაიწეროს სპეციალურ რვეულში (სოფელში ხანგრძლივად ყოფნის პერიოდში მრავალი ასეთი შემთხვევა იქნება);

2.7. ონომასტიკური მასალა და კითხვარის პასუხების დაფიქსირება-დაზუსტება ხდება მთელი წლის განმავლობაში:

ა) მომძიებელი სპეციალურ რვეულში იწერს ონომასტიკურ ერთეულებს: ტოპონიმებს, ანთროპონიმებს (მეტსახელებსაც), ზოონიმებს... იწერს გვარების ისტორიას, მათ ნიშნებს (თაჯებს), დროშების აღწერილობას, აფიქსირებს სახელთა ყველა ფონეტიკურ ვარიანტს, იქვე უნდა ჩაიწეროს სახელების ისტორია თუ მოტივი, ამ მიზნით ინფორმატორს ყოველი სახელის ხსენების მომენტშივე უნდა ვკითხოთ, თუ რატომ დაერქვა, რა მიზეზით მოხდა სახელდება...

ბ) კითხვარის შევსება უნდა მოხდეს წლის იმ პერიოდში, როცა ამ დარგისათვის დამახასიათებელი სამუშაოები მიმდინარეობს, თუკი კითხვარი მოიცავს მთელი წლის სამუშაოებს, კითხვარი ივსება მთელი წლის განმავლობაში (სხვადასხვა პირისაგან ხდება დაზუსტება). კითხვარი უნდა შეივსოს

მოცემული დარგის, თემის კარგი მცოდნისაგან (რასაკვირველია, არა მეცნიერ-სპეციალისტისაგან, რომელიც მეტყველებს მეცნიერული ტერმინოლოგიით), ნივთებისა და ნაგებობების აღწერისას უნდა გაკეთდეს შესაბამისი ნახაზები.

მომძიებელი ჯერ ავსებს კითხვარს, თვითონაც ზოგადად გაერკვევა დარგის საქმიანობაში და მხოლოდ ამის შემდეგ სთხოვს მთქმელს, დაწვრილებით გადმოსცეს მთლიანი პროცესი; ამ გაბმული მეტყველების მაგნიტოფონური ჩანაწერის გაკეთება აუცილებელია...

ონომასტიკური მასალის ჩაწერისას და „კითხვარის“ შევსების შემდეგ მომძიებელი იწერს თითოეული მთქმელის გვარს, სახელს, მამის სახელს (თუ ჩამოსახლებულია, უნდა მიეთითოს საიდან და როდის), განათლებას, ასაკს...

გარდა ამისა, არის თუ არა ამ დასახლებულ პუნქტში სკოლა და რომელ ქალაქთან არის დაკავშირებული... ბოლოს ჩამწერის გვარი, სახელი, მამის სახელი, მუშაობის ადგილი, განათლება, თანამდებობა და ჩაწერის ზუსტი დრო...

III. მასალის გადაწერის პროცესი

გადაწერის რთულ პროცესს ბევრად აიოლებს ჩამწერის მეხსიერებაში შერჩენილი ცინცხალი შთაბეჭდილება, ამიტომ მაგნიტო-ფონური ჩანაწერის რვეულში გადაწერა აუცილებლად ჩაწერის დამთავრებისთანავე უნდა მოხდეს;

სვანეთსა და სამეგრელოში მომუშავე ჯგუფებმა მასალა გადაწერისთანავე უნდა თარგმნონ ქართულად.

მაგნიტოფონური ჩანაწერის ქალღმერთზე გადატანისას აუცილებელია დაცული იქნას მთხრობელ-ისეული ფონეტიკა, რისთვისაც გამოყენებული იქნება დადგენილი დიაკრიტიკული ნიშნები და ამ ბაზაზე შექმნილი „აკადემიური შრიფტი“ შემდეგი ასო-ნიშნებით: ა ბ გ დ ე ვ ზ ი კ ლ მ ნ ი ო პ რ ს ტ თ უ ფ ხ ც...

ჩაწერის ფონეტიკური სიზუსტის შესამოწმებლად სასურველია მოხდეს მისი აუდიტორიული მოსმენა ჯგუფის წევრების მიერ. განსხვავებული მოსმენები უნდა აისახოს სქოლიოში ან შენიშვნებში.

მასალის მომზადება გამოსაქვეყნებლად

4.1. ტექსტის გამართვა;

4.1.1. აუდიო და ვიდეოკასეტებზე ჩაწერილი მასალა ზუსტად გადაიწერება ანბანური ტექსტის სახით და უცვლელად გამოქვეყნდება თავისი განმეორებებით და პაუზის მიზნით ნახმარი სიტყვებით (ჰოდა, ისა, იგი რა ქვია, იმას ვიზამ...) კვადრატულ ფრჩხილებში დაიწერება ისეთი სიტყვა, რომელიც გარკვევით არ ისმის, ან მაგნიტოფირზე არ ფიქსირდება, მაგრამ მომძიებელთა ჯგუფის, ან რედაქტორის მიერ ჩამატებულია ტექსტის უკეთ გაგების მიზნით.

4.1.2. თუ მომძიებელთა ჯგუფთან ერთობლივი მუშაობისას შეიქმნება განსხვავებული აზრი (მაგ., ზოგი სიტყვა მომძიებელსა და რედაქტორს სხვადასხვაგვარად ესმით), ტექსტში რჩება ის ვარიანტი, როგორც ეს მომძიებელთ აქვთ, ხოლო რედაქტორის შენიშვნა კეთდება სქოლიოში, თუკი მომძიებელთა შორისაც ამ მხრივ აზრთა სხვადასხვაობაა, გადამწერის ვარიანტი რჩება ტექსტში, სხვა კი ჩადის სქოლიოში.

4.1.3. ტექსტში ჩართული მიმართვები ოჯახის წევრების, მომძიებლის ან სხვათა მიმართ (ან კონტექსტიდან ამოვარდნილი ფრაზები) ჩადის სქოლიოში, ტექსტში რჩება (...)*, მეორე მსგავს შემთხვევაში (...)** და ა.შ.

4.1.4. მომძიებლის შეკითხვები აღინიშნება აბზაციითა და ტირეთი, ასევე იწერება სხვა პირთა ჩართვებშიც, მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში დაისმება სათანადო ნომერი და ჩამრთველის ვინაობა შენიშვნის სახით შევა დანართში. დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ტექსტების პუნქტუაციის სხვა წესები თან ერთვის პროგრამა-ინსტრუქციას

4.2. ზანურ-სვანური ტექსტების თარგმანება უნდა გაკეთდეს შემდეგი პრინციპით:

4.2.1. სხვა ქართველური ენების არმცოდნე მკვლევართათვის ზუსტი ქართული ტექსტების მიწოდებისა და ლექსიკონის აუცილებლობის მოხსნის მიზნით, ზანურიდან და სვანურიდან კეთდება პირდაპირი („პჭკარედული“) თარგმანი: იდიომატური გამოთქმები (საჭიროების შემთხვევაში სხვა ცალკეული სიტყვები) თავისუფლად ითარგმნება, მაგრამ იქვე, დახრილ ფრჩხილებში მიეწერება პირდაპირი თარგმანი:

კაკრას პირველ მესი ოჭმარეს ისერუ.

ზუსტად პირველი მაისის დილას მოხდა მზის დაბნელება /დაღამდა/.

იტყომპწლ ლწდწ ლადწლ.

ჭყუმპალაობს მთელი /დღეის/ დღე.

4.2.2. ის სიტყვა ან ნაწილაკი, რომელიც ვერ გადადის ქართულ ტექსტში, დედანში გამოიყოფა განსხვავებული შრიფტით; მისი განმარტება თავსდება ლექსიკონში; მაგ:

ნი — რომ კავშირის ფარდია. თარგმანში არ აისახება, როცა იგი რთულ საკავშირებელ სიტყვას ახლავს:

სოდგა მიდართუნი, ირო განარებული დირთუ.

სადაც წავიდა, სულ განარებული დაბრუნდა.

ვარდლო, ვარენო უარყოფილი ნაწილაკის ფუნქციით გამოყენებული სიტყვაა, რაც სიტყვის სიტყვით ნიშნავს არ იყო? არ არის?

ბჟა, ვარდლო, ელეუნდუნი, თიწყუმა, იპყანდით მუშაობას

მზე რომ ამოვიდოდა, მაშინ ვიწყებდით მუშაობას.

ღალ — ნაწილაკი, რომელიც გამოხატავს თანაგრძნობა-სიბრალულს.

ალა ღალ ჩუქწანწან ხოჭუნწარი

ეს ქვემოდან უსმენს.

4.2.3. დედნის შესაბამისი ისეთი სიტყვა (ან ფრაზა), რომელიც ქართულ თარგმანში აუცილებელი არ არის, მაგრამ მისი ხმარება სალიტერატურო ენის ნორმებს არ არღვევს, მრგვალი ფრჩხილებით რჩება თარგმანში (ეს კეთდება ლექსიკონის მოცულობის შემცირების მიზნით).

მონადირე კოჩ მიცუნდუ ჯგირ ჯიმაკოჩი

მონადირე (კაცი) მყავდა კარგი ძმაკაცი.

ოხწად ათხა პირობ, ერე ლწიწი

მოუვიდა ახლა პირობა (რომ) წასვლის.

4.2.4. იმ შემთხვევაში, თუ ზანურ-სვანურიდან სიტყვის ყველა ნიუანსი ქართულ ტექსტში ვერ გადადის, მაშინ სიტყვას უკეთდება შესაბამისი ნომერი და დამატებითი განმარტება თავსდება ტექსტის ბოლოს დართულ კომენტარებში.

მიჩანდეს — პირდაპირ, სიტყვასიტყვით არ ითარგმნება

„ჩანს“ ნიშნავს — ხარობს, იზრდება გარკვეულ შემთხვევაში — არის, აქვს;

მიჩანდეს — ჩვენთან ხარობდა, იზრდებოდა ან ჩვენ გვქონდა.

ფირტილდ — სიტყვასიტყვით არ ითარგმნება; ფირტი — ძროხა, ილდ — კნინობითის მაწარმოებელი ნაწილაკი; თარგმანში გადმოვა სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმით.

4.2.5. ტექსტისათვის საჭირო განმარტებანი (თუ გრამატიკული მოვლენების ახსნა) კეთდება კომენტარებში, რომლებიც რიგითი ნომრის მიხედვით თავსდება ტექსტის ბოლოში; ტექსტის ან თხრობის პროცესის უკეთ გაგების მიზნით აუცილებელი ინფორმაცია (ან სადავო ფორმებზე მითითება) ვარსკვლავის აღნიშვნით შეიძლება იქვე სქოლიოში მოთავსდეს:

ოდლა ოთხ დლა (ოთხი დღე)

ბო ბოში (ბიჭი) — მიმართვის შემოკლებული ფორმა, რომელიც იხმარება ‘კაცის’ მნიშვნელობით, გამოიყენება სხვადასხვა ვარიანტით: ბოში ბოშ ბოი ბო.

ჟარგდ მდღრწვი კელ ლწმბეჯგ ამჩტწ

ვარგმა მათრახის ტარი მიიბჯინა აქ, ა* — მთქმელი ხელით გვითითებს, თუ სად მიიბჯინა ვარგმა მათრახის ტარი. ამ შემთხვევაში ნიკაბთან.

4.2.6. ის ტერმინი, რომელსაც ზუსტი ანალოგი არ მოეძებნება, უცვლელად გადმოდის ქართულში. კომენტარის სახით ტერმინის ახსნა მოთავსდება ტექსტის ბოლოს (ანალოგიურ შემთხვევაში ტექსტში მიეთითება კომენტარის იგივე ნომერი).

ვაშინერს — ხსენება არ შეიძლება, გაკეთება არ შეიძლება, ტაბუ აქვს დადებული.

დუდიშ რღვაფა (თავის ყრა) — მომწიფების პერიოდი, როდესაც ფრინველს თავი უწითლდება და ბიბილო ამოსდის (მარცვლოვნებში თავთავის გაკეთება).

ჩაფრასტალ — ქალის სამკერდე მორთულობა, ვერცხლის სამკაული.

ბარქწმ — ხის დიდი სასმისი.

4.2.7. სიტყვა, რომელიც მეტია თარგმანში, უნდა ჩაისვას კვადრატულ ფრჩხილებში:

რუო თუთერ დოფსკილადექი დიდაშე.

რვა თვის დავრჩენილვარ დედისგან [ობლად].

ჯა ქორთე

თვითონ სახლში [წამოსულა].

4.2.8. ტექსტში ჩართული მიმართვები (ან კონტექსტიდან ამოვარდნილი ფრაზები) ჩადის სქოლიოში. თარგმანიც იქვე სქოლიოში მოთავსდება;

4.2.9. ფრაზის სტრუქტურა რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმება (ზოგადად, ენობრივი ნორმები სალიტერატურო ენის მიხედვითაა) იმ შემთხვევაში თუ სალიტერატურო ქართულის ნორმით დასაშვებია ორი ან მეტი ფორმა, უპირატესობა ეძლევა იმ ვარიანტს, რომელიც უფრო შესაბამეა დედნის სტრუქტურას; ზანურისა და სვანურის ისეთი ფონეტიკური და გრამატიკული მოვლენები,

რომლებიც არაა დაფიქსირებული სამეცნიერო ლიტერატურაში, შესაბამისი ანალიზით მოთავსდება კომენტარებში:

- მიდართას ოკო;
- წავიდეს უნდა;
- კვირკე-კვირიკობის თვე (შდრ. ივლისი);
- ჭგერაგთე-წმინდა გიორგის სალოცავში;
- ძარი ლახტბა - ორი ძმა.

4.2.10. საკუთარი სახელების (გვარების, ტოპონიმების...) დედნისეული დაწერილობა ისეთ შემთხვევაში, თუ იგი შეტანილი არ არის ოფიციალურ ქართულ ცნობარებში:

- ლაპაბე (და არა საპაპავო)
- ჭითა უშქურს ნოცხოვრებზე ხალხი
- ჭითა უშქურში (და არა წითელ ვაშლში) ცხოვრობდა ხალხი
- ლაზრანში (და არა სა-ზარ-ე) - ზარის სათქმელი ადგილი.

4.2.11. ტექსტების პასპორტები და მასალასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციები (ვისგანაა ჩაწერილი, სად, როდის, ვინ ჩაიწერა) კეთდება წიგნის ბოლოს შენიშვნებში:

მთქმელი: პაპავა ფრიდონ დავითის ძე, 43 წლის, მოსამსახურე; ქვალონი, 25 აგვისტო, 1994 წ. 15 საათი; მოღრუბლული ამინდი.

მთქმელი: ლუბა ერმინეს ასული შუკვანი, 55 წლის, დიასახლისი; ლენჯერი, 1994 წლის 16 აგვისტო, 16 საათი; კარგი ამინდი.

V. დანართი

5.1. დღესასწაულთა კალენდარი:

ყოველი სოფლის მასალას თან დაერთვის სოფელში ცნობილ და ტრადიციულ დღესასწაულთა კალენდარი ოთხივე ციკლის მიხედვით; კერძოდ: მყარი და მოძრავი, რელიგიური და საერო დღესასწაულები (რადგან ძირითად ტექსტში შედის აღნიშნული დღესასწაულების ვრცელი ვარიანტი, ამ ჩამონათვალს მიუვითიებთ მხოლოდ ტექსტის ნომერს)...

5.2. ტექსტებს დაერთვის ენათმეცნიერული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული სახის კომენტარები;

5.2.1. ენათმეცნიერულ კომენტარებში მოთავსდება: დიალექტოლოგიისთვის იშვიათ მოვლენებზე ან ფაქტებზე ხაზგასმა, ფონეტიკური გამონაკლისების ახსნა, მითითებები კოდების შერევაზე, კერძოდ: თუ ტექსტებში ინფორმატორების მიერ ნახმარია სხვა კილოსათვის დამახასიათებელი ფორმა ან ლექსიკური ერთეული, დიალექტური, ამდენად მოსალოდნელი ფორმა (გამოთქმა) დაფიქსირდება კომენტარებში, იქვე მიეთითება, რომელი კოდის მინარევია ტექსტში დაფიქსირებული სიტყვა (თუ ერთი და იგივე ფორმა ხშირად მეორდება, შემდეგ მიეთითება მხოლოდ კომენტარის ნომერი). ადგილობრივისამეტყველო კოდის და სალიტერატურო ენის შერევაზე მითითება არ არის საჭირო.

მეტყველების თავისებურებების (ნაზალური ბგერები, ხმოვანთა დაგრძელება...) და არაკუთხური აქცენტის შესახებ მიეთითება კომენტარებში ტექსტის დასაწყისში (პასპორტის შემდეგ);

5.2.2. ფოლკლორულ კომენტარებში მიეთითება გამოცემულ ტექსტებთან შედარებით მსგავსება-განსხვავება. აგრეთვე, ტექსტის პასპორტი: ნაწარმოების შექმნის ისტორია, შესრულების ტრადიცია, ვარიანტები;

5.2.3. ეთნოგრაფიული სახის კომენტარებში მოცემული იქნება ამა თუ იმ დარგის, წეს-ჩვეულებების ამსახველი მასალის შედარება გამოცემულ ტექსტებთან. აქვე იქნება განმარტებები ტექსტში არსებულ ტერმინებსა და საინტერესოდ მიჩნეულ სხვა ფაქტებზე;

5.2.4. კომენტარებში მიეთითება აგრეთვე: გამოსაცემი ტექსტიდან მთქმელის თხოვნით ამოღებულ მონაკვეთზე; ხელით ან ფარულად ჩაწერილ ტექსტებზე და იმ მასალაზე, რომლებიც წიგნში არ შევიდა. მასალები დაცული იქნება დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში;

5.3. ლექსიკონი;

5.3.1. ქართული ტექსტების ლექსიკონში შევა ისეთი სიტყვები, მორფემები და იდიომები, რომლებიც მოცემული ფორმით ან სემანტიკური ნიუანსით არ არის შეტანილი გამოქვეყნებულ ლექსიკონებში, კერძოდ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (რვატომეულში) და საკვლევი დიალექტის მასალებში; სალექსიკონო ერთეულები შეუპირისპირდება სხვა კილოთა მონაცემებს;

5.3.2. ლექსიკონში სიტყვები დალაგდება არნ.ჩიქობავას რედაქციით გამოცემულ ქეგლის (8 ტომეულის) პრინციპების მიხედვით: ზმნებს შევითანთ აწმყოს მწკრივის III პირის ფორმით (საჭიროების შემთხვევაში მიუვითიებთ სხვა პირებს და მწკრივებს); სახელები შევა სახელობითი ბრუნვის ფორმით, მიუვითიებთ არა მხოლოდ ნათესაობითის ფორმას, არამედ სხვა ბრუნვის ფორმებსაც, თუკი

ფორმა წარმოების თვალსაზრისით რაიმე თავისებურებას ავლენს თუ სიტყვა ნასესხებია, მიენიშნება რომელი ენიდანაა ნასესხები (ზანურ-სვანური ტექსტების ლექსიკონისათვის იხ. ზემოთ 4.2);

5.4. გამოსაქვეყნებელ ტომებს დაერთვის საძიებლები;

5.4.1. მთქმელთა;

5.4.2. თემატური;

5.4.3. დარგობრივი ლექსიკის...

5.4.4. პირთა და სხვ.

გამოსაქვეყნებელი მასალის სტრუქტურა

წინასიტყვაობა

ტექსტების ჩაწერის, დამუშავებისა და გამოცემის
ზოგადი პრინციპები

შესავალი

1. სოფლის ზოგადი დახასიათება

1.1 ეკლესია, სალოცავები, ისტორიული ძეგლები, სხვა წმინდა ადგილები (მათი დეტალური აღწერა)

1.2. დღევანდელი სახე: მდებარეობა, კომლთა რაოდენობა, რა გვარები ცხოვრობენ, რა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებია და ა.შ.

1.3. სამეტყველო ენის მიმოხილვა

1.4. ფოლკლორის ზოგადი მიმოხილვა

ტექსტები

2. ონომასტიკური მასალა:

2.1. სოფლის სახელწოდების შესახებ (გადმოცემები სოფლის სახელწოდების შესახებ)

2.2. სოფლის მცხოვრებთა გვარები (ამ გვართა წარმომადგენლების ჩანაწერები), მათი ნიშნის (თაჯების), დროშების, სხვა სიმბოლოების აღწერა...

2.3. საკუთარი სახელები და მეტსახელები (ადამიანთა, ცხოველთა...), მეტგვარები

2.4. სოფელში არსებული ტოპონიმები; გადმოცემები მათ შესახებ

3. ადამიანი (ზოგადად)

3.1. სხეულის ნაწილები

3.2. ხასიათი, განწყობილება, სიყვარული, მეგობრობა ...

3.3. ნათესაური ურთიერთობანი

3.4. ასაკობრივი დიფერენციაცია

4. პროფესიული მასალა:

4.1. სახლ-კარი, ნაგებობანი

4.2. იარაღი, ინსტრუმენტი

4.3. მშენებლობა (მასთან დაკავშირებული რიტუალები)

4.4. ხელობა

4.4.1. კერძო სამეურნეო (სამრეწველო) დაწესებულებები

4.5. ხელსაქმე

4.6. ჩასაცმელი

4.7. შეშის დამზადება

4.8. ვაჭრობა

4.8.1. ზომა-წონის ერთეულები

4.8.2. სატრანსპორტო საშუალებანი

4.8.3. საზვეების ობიექტები (მუშაობის პრინციპები), ბაზრობები...

4.9. საჭმელი

4.10. სასმელი

4.11. საოჯახო საქმე

5. მედიცინა

5.1. დაავადებანი, მათი მკურნალობა, რიტუალები

5.2. წამალი, სამკურნალო მცენარეები

5.3. სამედიცინო სამსახურები

6. წეს-ჩვეულებანი:

6.1. ქორწინება, ოჯახი (ნიშნობა, ქორწილი, მზითვევი, ფეხმძიმობა, შვილის შეძენა, ბავშვის მოვლა...)

6.2. ნათლობა

6.3. დაკრძალვა, გლოვა

6.4. სუფრა: ქორწილის, ნათლობის, ძეობის, ჭირის, საოჯახო, სასტუმრო (გაწყობა, მერიქიფეობა, თამადობა... სადღეგრძელოები)

6.5. გაძიძავება

6.6. ხალხური სამართალი (ლიწური, ლიმწრეჭ)

6.7. მანგიორი

6.8. ალექმა, შეპირება, შესაწირავი...

7. ღვთისმსახურება, დღესასწაულები და სხვა რწმენა-წარმოდგენები:

7.2. რელიგიური დღესასწაულები, რიტუალები

7.3. საერო დღესასწაულები

7.4. მნათობები და მათთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები

7.5. წმინდა ხე, მასთან დაკავშირებული რიტუალები

8. გარესამყარო

8.1. ცა, ვარსკლავები, მნათობები, დაკვირვებები

8.2. დრო

8.3. ამინდი, სტიქიური მოვლენები

8.4. იმქვეყნიური სამყარო,

9. საყოფაცხოვრებო ამბები:

9.1. რეგიონისათვის დამახასიათებელი ტიპური დიალოგები (სოფლის ცენტრში ქალების, კაცების, ბიჭების გოგონების...)

9.2. ძველი ამბები

9.3.. თანამედროვე ამბები

9.4. სახუმარო ამბები

9.5. თამაშობანი

9.6. სიზმარი, სიზმრის ახსნა

9.7. ხალხური დაკვირვებები

9.8. მკითხაობა, მაგია..

10. ზეპირსიტყვიერება:

10.1. ზღაპრები

10.2. ლეგენდები

10.3. მითოლოგიური სიუჟეტები, ბიბლიური მოთხრობები...

10.4. მემორატურული და ფაბულატური სიუჟეტები

10.5. გადმოცემები (სოფლის ისტორიის, სალოცავების... შესახებ)

10.6. პოეზია (სიმღერა)

10.7. ანდაზები და გამოცანები, ენის გასატეხი...

10.8. შელოცვა, ლოცვა, დალოცვა

10.9. წყევლა, შეჩვენება, ლანძღვა-გინება

10.10. ანექდოტი, მახვილსიტყვაობა

11. ფაუნა:

11.1. ცხოველი

11.2. ფრინველი

11.3. მწერი

12. ფლორა:

12.1. კულტურული მცენარე

12.2. ხე-მცენარეები

12.3. ყვავილი, ბალახი

13. სოფლის მეურნეობა:

13.1. ვენახი (ყველა სამეურნეო დეტალისა და რიტუალის დაწვრილებითი აღწერა)

13.2. სიმინდი (სხვა მარცვლოვანი კულტურები)

13.3. კარტოფილი

13.4. ბოსტანი

13.5. ხილი (ბალი, მყნობა, ნერგი)

13.6. ციტრუსი

- 13.7. მეთამბაქოეობა
- 13.8. მეჩაიეობა
- 13.9. მემბრეშუმეობა
- 13.10. მეფუტკრეობა
- 13.11. მეთევზეობა
- 13.12. მონადირეობა
- 13.13. მეფრინველეობა
- 13.14. მეცხოველეობა
- 13.15. მიწათმოქმედების სახეები (კერძო, საგვარეულო, სახატო, სახელმწიფო...)
- 13.16. ნიადაგი და წიაღისეული.

4.4. დანართი:

- 4.4.1. დღესასწაულის კალენდარი
- 4.4.2. კომენტარი და შენიშვნები
- 4.4.3. ლექსიკონი
- 5. საძიებლები:
- 5.2. პირთა, მთქმელთა
- 5.3. დარგობრივი ლექსიკა

დამატება

1. სხვათა სიტყვის ნაწილაკების დართვის შემთხვევაში ფრაზა ძირითადი ტექსტისაგან მაინც გამიჯნულია „მეთქი“, „თქო“, „ო“, „ა“, „ესრ“, „როქ“ - ნაწილაკებით, ამდენად, დიალექტურ ტექსტებში დიალოგის გადმოცემისას ბრჭყალები არ გამოიყენება (1. ქალმა კაც ხელი კრა: გადი, იქანა დაჯექი შენ და შთილი გამითავისუფლეო? 2. მე უთხარი: შენ რატომ გაინტერესეფს—მეთქი? 3. ძუელ ამბავს რო მეკითხები ნუსხა-ხუცურის დროინდელი კი არ ვარ-თქუა).

2. „თქვა“, „ჰკითხა“, „მიუგო“ და ა.შ. ზმნების მომდევნოდ, ან როცა ასეთი ზმნები იგულისხმება, იხმარება ორწერტილი: ფრაზის ბოლოს იწერება წერტილ-მძიმე, ან ტექსტის ინტონაციის შესაბამისად, კითხვის ან ძახილის ნიშანი. თუ ამ ფრაზას უშუალოდ მოჰყვება პასუხი - მეორე ფრაზა, წერტილ-მძიმის შემდეგ იწერება ტირე (მეუბნება: შენ ელოდები გერმანელეფსო? - შენ რატომ გაინტერესეფს-მეთქი).

3. იმ შემთხვევაში, თუ დიალოგის ფრაზას წინ კი არ უსწრებს, არამედ უშუალოდ მოჰყვება „უპასუხა“, „ჰკითხა“, „თქვა“ და ა.შ. ტიპის ზმნები, ფრაზის შემდეგ იწერება ტირე და შემდეგ შესაბამისი ზმნა (1.სტუმრეფს რაცხა მოპარეს ახლო-მითხრა; 2. შენ ვილაცა გითუალთუალეფსო - უთხრა).

4. თუ დიალოგის ფრაზის შიგნითაა ჩართული „უთხრა“, „კითხა“ და ა.შ. ტიპის ზმნები, ან სხვა ტიპის ჩართული კომენტარი, ასეთ შემთხვევაში მთქმელის ჩართული ტექსტი თავსა და ბოლოში ტირეებით უნდა გამოიყოფს (1.ჩქარა წადიო - უთხრა - გამეიქეციო; 2. მე უთხარი: შენ რატომ გაინტერესეფს-თქუა - მე სულა ვერ წარმევიდგინე, რო ეს კაცებეს თანამშრომელი იყო - რას მიყურეფ-თქუა? 3.გრიგოლს უთქუა: თუ გინდა სწაულას გაგაგრძელებიეფო - ხოდა, ჩემო ბატონო - აქანე, გერმანიაში ისწავლიო).

5. თუ მთქმელის მიერ დიალოგები წარმოდგენილია სხვათა სიტყვის ნაწილაკების გარეშე, ასეთ შემთხვევაში ფრაზები ჩაისმება ბრჭყალებში. „უთხრა“, „უპასუხა“ და ა.შ. ტიპის ზმნები იმგვარადვე გამოიყოფა, როგორც ზემოთ იყო მითითებული; თუ ბრჭყალებით წარმოდგენილ ფრაზას საპასუხო ფრაზა უშუალოდ მოსდევს, პირველი ფრაზის შემდეგ იწერება მხოლოდ წერტილ-მძიმე (დედაჩემმა უთხრა: „ჩაიბარეთ ეს ბაჭუნები და მე ციხეში გამიშით“; „მაგას ვერ მოესწრები, აქ უნდა იტანჯო“-უპასუხა ბზიავამ); დიალოგის დამთავრების შემდეგ იწერება წერტილი, ან შესაბამისად, კითხვითი თუ ძახილის ნიშანი, თუ დიალოგი დაუსრულებელი რჩება - სამი წერტილი (დაიძახა: „გარეთ გამოდით, სახლი არ დაინგრესო!“ - „არა, ნუ გეშირიათ, მაგრამ...“).

6. მთქმელის მიერ დიალოგის ფრაზებს შორის ნახმარი „და“ ნაწილაკის წინ, თუ იგი წინამავალ სიტყვასთან ერთად ერთი მახვილით წარმოითქმება, იწერება დეფისი (წავედი - და...). თუ მას თავისი მახვილი აქვს, ასეთ შემთხვევაში, წინამავალი სიტყვისაგან გამოიყოფა მძიმით (სანადიროდ წამყევიო, და ...). თუ „და“-ს პირდაპირ მოჰყვება დიალოგის სხვათასიტყვის ნაწილაკდართული მომდევნო ფრაზა, ასეთ შემთხვევაში, „და“-ს მომდევნოდ იწერება ორწერტილი (წამომესწრო მეზობელი და: ხო დაგიჭირე ახლო).

7. როდესაც მთქმელი გადმოცემს სხვის ფრაზას (ნათქვამს ან ნაფიქრალს დიალოგის) გარეშე:

ა)თუ ფრაზა მოჰყვება „რომ“ კავშირს, ასეთ შემთხვევაში კავშირის შემდეგ იწერება მძიმე., თუ ტექსტი ითხოვს, როგორც წესი, მძიმე იწერება „რომ“-ის წინაც (მამამ იფიქრა, რომ თფილიში წასულიყო და იქედან ჩამოეყუანა დელეჟანი).

ბ)თუ მთქმელის ტექსტებში სხვისი ფრაზა „რომ“-ის გარეშე პირდაპირაა მოყვანილი სხვათა სიტყვის ნაწილაკით, ასეთ შემთხვევაში მოყვანილი ფრაზის (რესპ. სიტყვის) წინ იწერება ორწერტილი (ძუღლებსაგან გამიგონია: ვინც ჩამოხსნაო ეს ზარები, თურმე არ დაბრუნებია თავიანთ ოჯახს, ალბათ ღმერთმა განურისხდაო და იმიტომო).

გ) თუ სხვის მიერ ნათქვამი ფრაზა მთქმელის მიერ წარმოდგენილია სხვათასიტყვის გარეშე, მაშინ ორწერტილის შემდეგ ფრაზა ჩაისმის ბრჭყალებში (ზაზუნინი წაჩხუბებია: „რას ერჩი, პორფილე, ამ ბოტუსს, დაანებე თავი!“).

დ) თუ მთქმელის მიერ სხვათასიტყვის ნაწილაკის გარეშე ნათქვამ ფრაზას იქვე მოჰყვება იმავე პერსონაჟის ნაფიქრალი, ასეთ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ბრჭყალებში უნდა ჩაისვას შესაბამისი სასვენი ნიშნის შემდეგ („თუ ვიყავიო, და მარა რას ვიზამდი“, „ნეტა მართლა ვყოფილიყავი“).

8. როცა ბრჭყალებში ჩასმულ ფრაზას (კითხვას) მოჰყვება სხვათასიტყვის ნაწილაკიანი პასუხი, მეორე ფრაზის წინ წერტილ-მძიმის (ან სხვა სასვენი ნიშნის, რომელიც დაისმება I ფრაზის მომდევნოდ) შემდეგ დაისმება ტირე („სად მიხვალ, სად?“ - აგერ მივალ ტყეში, თავი დამანებეო).

9. როცა მთქმელის მსჯელობას ან შეფასებას მისდევს პერსონაჟის ფრაზა, მსჯელობის შემდეგ იწერება წერტილ-მძიმე (ამას უნდა მეეთმინა, არაფერი არ უნდა ეთქუა, მარა გულფიცხი იყო; არ შევარჩენ შეურაცყოფას, მაგან მიყუროს მეო - ყვიროდა).

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ირ. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები: ხოფური კილოკავი, თბ., 1974
2. ლ.ბედუქიძე, „ხის ავეჯი იმერეთში“, თბ., 1968
3. ვ.ბერიძე, „სიტყვის კონა“ (იმერულ და რაჭულ თქმათა) თბ.,1980
4. გ.ბოჭორიძე, „თუშეთი“, თბ.,1993
5. კ.გაჩეჩილაძე, „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“, თბ., 1986
6. ი.გიგინეიშვილი, ვ.თოფურია, ი.ქავთარაძე „ქართული დიალექტოლოგია“, თბ., 1961
7. ა.გომიშვილი, „ქართული ხალხური პოეზია“, თბ., 1975
8. ალ.დავითიანი, „სვანური ანდაზები“, თბ., 1978
9. ლ.კაიშაური, „მთიულური ტექსტები“, თბ., 1978
10. გ.კარტოზია, „ათინური ტექსტები ქართული თარგმანით“ (ყურნ. „მაცნე“, 1970, №4).
11. გ.კარტოზია, „ლაზური ტექსტები“, თბ.: 1972
12. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიის შესწავლისათვის, თბ., 1968
13. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის (ივ.ჯავახიშვილის რედაქციით), თბ., 1968 (I-Vტ.).
14. ს.მაკალათია, „თუშეთი“, თბ., 1983
15. ს.მაკალათია, „მთის რაჭა“, თბ., 1987
16. ს.ს.ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, თბ., 1991-1993
17. თ.სალარიძე, „ალგეთის ხეობის ქართლური“, თბ., 1978
18. კ.სამუშია, „ქართული ხალხური პოეზიის მასალები“, თბ., 1979
19. კ.სამუშია, „ქართული ხალხური პოეზიის საკითხები“, თბ., 1979
20. კ.სამუშია, „ქართული ზეპირსიტყვიერება“, თბ., 1990
21. სვანური ენის ქრესტომათია, 1978
22. სვანური პროზაული ტექსტები, ტ. I, ბალსხემოური კილო, 1939
23. სვანური პროზაული ტექსტები, ტ. II, ბალსქვემოური კილო, 1957
24. სვანური პროზაული ტექსტები, ტ. III, ლენტეხური კილო, 1967
25. სვანური პროზაული ტექსტები, ტ. VI, ლაშხური კილო, 1979
26. ქ. სიხარულიძე, „ქართული ხალხური სიტყვიერება“ (ქრესტომათია) თბ., 1970
27. ყ.ფეიქრიშვილი, „მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა“, ქ., 1992
28. შ.ფუტყარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი, 1994
29. ქეგლ (რვატომეული) თბ., 1950-1964
30. ქართული ხალხური ზღაპრები, თბ., 1947, ტ. I-II
31. ქართული ხალხური პოეზია (თორმეტ ტომეული), თბ., 1992
32. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. I, პოეზია (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ.გულდავამ), თბ., 1975
33. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრები (ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კ.დანელიამ და ა.ცანავამ), თბ., 1991

34. ქართული ხალხური ზღაპრები (შეკრებილი ვ.აღნიაშვილის მიერ), რედაქტორი თ.ოქროშიძე, თბ., 1979
35. ალ.ღლონტი, „ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა“, თბ., 1984
36. ი.ყიფშიძე, „რჩეული თხზულებანი“, თბ. 1994
37. ქ.ძოწენიძე, „ზემოიმერული ლექსიკონი“, თბ. 1973
38. მ.ხობუა, „მეგრული ტექსტები“, თბ., 1977
39. ივ.ჯავახიშვილი, „შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალის შეგროვების წესისათვის“, „საქართველოს შინამრეწველობა“, № 9, 1935
40. პ.ჯაჭანიძე, „გურული დიალექტი“, თბ., 1977